საიდ. №78453/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №69-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯიას'' სააპელაციო საჩივარი (საიდ. №69-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის'' სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 მაისის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №927/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „BRAUN MIX'' (საიდ. №78453/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 31-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირება 31-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფრინველთა საკვები“ (31-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 მაისის №927/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშნის „BRAUN MIX“ გამოსახულებითი ნაწილი (ქათამი), მიუთითებს რომ, ამ ნიშნით ნიშანდებული საქონელი წარმოადგენს ქათამს და შესაბამისად, განცხადებული საქონლის ჩამონათვალში მითითებული საქონლის ნაწილის, კერძოდ კი - „ცხოველთა საკვების მიმართ“, ამ ნიშნის რეგისტრაცია შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის სახეობისა და თვისების შესახებ. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 31-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯია” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშანი „BRAUN MIX” (საიდ. №78453/03) დარეგისტრირებულ უნდა იქნას „ცხოველთა საკვების“ მიმართა, რადგან აღნიშნული სასაქონლო ნიშანი მთლიანად და მათ შორის მისი გამოსახულებითი ნაწილი არ შეუქმნის მცდარ წარმოდგენას მომხმარებელს საქონლის სახეობისა და თვისების შესახებ ცხოველთა საკვების მიმართ, პირიქით, განსაკუთრებით ცხოველთა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფრინველთა) საკვების მიმართ არის ეს სასაქონლო ნიშანი გამორჩეულად სწორი წარმოდგენის შემქმნელი, რადგან ქათმის ორიგინალურად შესრულებული გამოსახულება მომხმარებელს მიახვედრებს, რომ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი,

კონკრეტული საკვები, განკუთვნილია ცხოველებისთვის (ფრინველებისთვის). შესაბამისად გამორიცხულია, განცხადებული საქონლის მიმართ ნიშანმა მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას საქონლის სახეობისა და თვისების შესახებ. აპელანტის პოზიციით, ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს თავად საქპატენტის ბევრი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, არაერთი სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეიცავს ქათმის სტილიზებულ გამოსახულებას, წარმატებით იქნა დარეგისტრირებული 31-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის, მათ შორის, ცხოველთა(ფრინველთა) საკვების მიმართ. მაგალიათად, აპელანტი კომპანიის სახელზე დარეგისტრირდა კომბინირებული სასაქონლო ნიშნები: „Layer Max“ (საიდ. N77891/3) და „Broiler Max” (საიდ. N77892/3). აღნიშნული ნიშნების შემთხვევაში არ იქნა გამოყენებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და დარეგისტრირებულ იქნენ, მათ შორის „ფრინველთა საკვების“ მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე სასაქონლო ნიშანი, გასაჩივრებულის მსგავსად შეიცავდა სიტყვიერ ნაწილს და ქათმის სტილიზებულ გამოსახულებას. აპელანტის მითითებით, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ მრავლადაა მაგალითები, როდესაც საქპატენტმა დაარეგისტრირა ქათმის სტილიზებული გამოსახულებით სასაქონლო ნიშანი 31-ე კლასის ცხოველთა/ფრინველთა საკვების მიმართ (მაგალითად - რეგისტრაციის N17004, 15739, 4938, 7667, ასევე საერთაშორისო რეგისტრაციის მქონე სასაქონლო ნიშნები: IR 851651, 1241209, 1089177). იგივე სიტუაციაა სხვა ქვეყნებში დარეგისტრირებულ მსგავს სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით. უამრავი მაგალითია, როდესაც ასეთ სტილში შესრულებული ნიშანი რეგისტრირდება 31-ე კლასის - „ცხოველთა საკვების“ მიმართ.

აპელანტმა საქმის ზეპირი მოსმენის დროს, დააზუსტა მოთხოვნა და შეზღუდა 31-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ფრინველთა საკვები“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის

დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 მაისის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №927/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „BRAUN MIX” (საიდ. №78453/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 31-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებას 31-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფრინველთა საკვები“

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „BRAUN MIX” (საიდ. №78453/03), რომელიც შეიცავს ქათმის გამოსახულებას, აპელანტის მიერ 31-ე კლასის შეზღუდული საქონლის ჩამონათვალისათვის - „ფრინველთა საკვები“, არ წარმოადგენს შეცდომაში შემყვან სიმბოლოს საქონლის სახეობისა და თვისების მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემული სახით საქონლის შეზღუდვის პირობებში, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „BRAUN MIX” (საიდ. №78453/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯიას" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 მაისის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №927/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „BRAUN MIX" (საიდ. №78453/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 31-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

3. სასაქონლო ნიშანი „BRAUN MIX" (საიდ. №78453/03) დარეგისტრირდეს ასევე, 31-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფრინველთა საკვები".

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

მ. ჭიჭინაძე